

**შპს „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის
საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯი“**



**პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის
განსაზღვრის მეთოდოლოგია**

თბილისი

2026

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) ეფუძნება, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონს, ავტორიზაციის სტანდარტებსა და კოლეჯის შიდა სამართლებრივ აქტებს.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას დაწესებულება მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ და ადმინისტრაციულ პირთა რაოდენობას;
2. პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილი კლინიკური ბაზების რაოდენობას, პროფილურობას, პაციენტთა ბრუნვის მაჩვენებელს და ჩართული პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობისთვის ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
3. დაწესებულების ფუნქციონირების ადგილზე სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი A, B და C გარემოების თანაფარდობას სტუდენტებისა და მათთვის მისაწოდებელი მეცადინეობების ჯერადობასთან; შესაბამის გარემოში თანაფარდობის განსაზღვრისთვის დაწესებულება იყენებს შემდეგი მონაცემებს:
 - A გარემოში - თეორიული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი სივრცე, სადაც გაანგარიშება ხორციელდება თითოეული სტუდენტისათვის თავისუფალი სამუშაო ადგილების შესაძლებლობისა და სასწავლო გარემოსა და პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა;
 - B გარემო - კომპიუტერული კლასი, IT მოდულის განხორციელებისთვის განკუთვნილი, სათანადო ტექნიკური და ქსელური სერვისით უზრუნველყოფილი სივრცე, სადაც გაანგარიშება ხორციელდება თითოეულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერის, სრული კომპლექტაციით გამოყოფის უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მოდულის ხანგრძლივობის ვადით;
 - C გარემო - სიმულაციის ოთახი, პრაქტიკულ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული, სიმულაციური ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც ერთდროულად დასაშვები შესაძლო სტუდენტთა რაოდენობა დგინდება შემდეგი: გარემოს ფართისა და თითოეული სტუდენტისთვის საჭირო სამუშაო ადგილების რაოდენობის, ასევე სიმულაციურ გარემოში განხორციელებადი

მანიპულაციებისთვის ან/და სხვა სასწავლო აქტივობებისთვის საჭირო ინვენტარისა თუ სახარჯი მასალის რაოდენობის თანაფარდობით;

4. დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ამა თუ იმ სივრცის ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად;
5. საჭირო რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და მისაღები კონტიგენტის თანაფარდობის დასადგენად დაწესებულება ითვალისწინებს შესაბამისი რესურსების გამოყენების საჭიროების ჯერადობას, თითოეულ ჯგუფთან (არსებობის შემთხვევაში პროგრამასთან) მიმართებაში გამტარუნარიანობას.
6. მხედველობაში იღებს სასწავლო მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის - ზემოთ აღნიშნული, სათანადო აღჭურვილობის მქონე და არასააუდიტორიო აქტივობებისთვის საჭირო სივრცეები (არსებობის შემთხვევაში) - ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, საკუთრების ან/და სარეგებლობის კანონიერი უფლებით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დაგეგმილი კონტიგენტის სრული ათვისების შემთხვევაში იძლევა სასწავლო პროცესის ორ ცვლაში განხორციელების შესაძლებლობას;
7. მნიშვნელოვან ფაქტორია პრაქტიკის ობიექტების, მათი გამტარუნარიანობის, პრაქტიკული სწავლა-სწავლების ფორმატში ჩართული პირებისა და სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებლების თანაფარდობა. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისა და პრაქტიკული სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული პირების თანაფარდობა დადგენილია, როგორც ჩარჩო დოკუმენტით, ასევე პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმისა და ხელშეკრულების ფარგლებში (7/1);
8. სხვა ფაქტორებთან ერთად მხედველობაში მიიღება არსებული საბიბლიოთეკო რესურსი, მისი განვითარების შესაძლებლობები; ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის მაჩვენებელი, სტარტეგიული გეგმით დასახული ამოცანების შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმისაწვდომობის, დაინტერესებისა და მოთხოვნის კოეფიციენტები, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობის ზრდის, სივრცის გაუმჯობესების/გაფართოების ან/და დამატებითი აღჭურვილობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების შესაძლებლობები.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება

1. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დგინდება ზემოთ აღნიშნული ფაქტორების შესაბამისად არსებულისა და სამიზნე ნიშნულებთან შესაბამისობის დადგენა;

2. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კოლეჯის ფუნქციონირების ძირითად ადგილზე სწავლის ორ ცვლაში წარმართვის, შეჭრილი ცხრილით მოქმედებისა და პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტთა ჯგუფებისთვის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული თანაფარდობის მაქსიმალური ზღვრები.
3. ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებისას დაწესებულების ფუნქციონირების ადგილზე სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი A, B და C გარემოებთან მიმართებაში დაწესებულება ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპით:
A გარემო - ერთ ცვლაში, მისი 100% ათვისების შემთხვევაში, შესაძლოა დაიტვირთოს საშუალოდ 150 - 220 სტუდენტით (დამოკიდებულია ჯგუფის შემადგენლობაზე - 15-20 პროფესიული სტუდენტი), რაც ორ ცვლაში შესაბამისად შესაძლებელს ხდის ორმაგი ოდენობით ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას.
B გარემო - ერთ ცვლაში, როტაციის წესით, მისი 100% დატვირთვით, აღჭურვილია ერთდროულად 20 სტუდენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობით, რაც მოდულის ხანგრძლივობისა და სემესტრში ზღვრული დატვირთვის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის A გარემოში გატარებული სტუდენტებისთვის შესაბამისი მოდულის მიწოდებას.
C გარემო - ერთ ცვლაში, როტაციის წესით, მისი 100% დატვირთვით, აღჭურვილია ერთდროულად 20 სტუდენტის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობით, რაც მოდულის ხანგრძლივობისა და სემესტრში ზღვრული დატვირთვის გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის A გარემოში გატარებული სტუდენტებისთვის შესაბამისი მოდულის მიწოდებას.
4. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება პროფესიულ მასწავლებელთა თანაფარდობა სტუდენტთან - ყოველ 20 სტუდენტზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ ერთი პროფესიული მასწავლებელი.
5. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, სრული დატვირთვით ზღვრული რაოდენობის ათვისების შემთხვევაში, მათი შემდგომი უზრუნველყოფა, მაღალი დატვირთვის შემთხვევაში გაზრდილი ცვეთისა და მწყობრიდან გამოსვლის რისკი, რისკების აღმოფხვრისთვის საჭირო რეზერვები, სახარჯი მასალის არსებობის შემთხვევაში მათი გამოყენების ჯერადობა, გახარჯვისა და შევსების წესები და შესაძლებლობები.
6. პროგრამაზე დადგენილი ზღვრული ოდენობიდან, სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა დამოკიდებულია - სასწავლო წლისთვის დაწესებულების პროფესიული მასწავლებლების, აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობაზე.
7. პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა (ცვლილება/გაზრდა/შემცირება) ხდება ხარისხის სამსახურის კვლევის, შედეგების ანალიზისა და შესაძლებლობების შესაბამისად, დირექტორის გადაწყვეტილებით.